დეკემბერი, 2025

1

ევროკომისია

ევროკომისიამ აკუმულატორების მწარმოებლებსა და სექტორულ ასოციაციას კარტელში მონაწილეობისთვის 72 მილიონი ევრო დააკისრა

ევროკომისიამ აკუმულატორების სამი მწარმოებელი - Exide, FET (მისი წინამორბედი კომპანიის, Elettra-ს ჩათვლით) და Rombat, აგრეთვე სექტორული ასოციაცია EUROBAT, ევროკავშირის კონკურენციის წესების დარღვევისთვის საერთო ჯამში დაახლოებით 72 მილიონი ევროს ოდენობით დააჯარიმა.

კომისიის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული კომპანიები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მონაწილეობდნენ კარტელურ შეთანხმებაში აკუმულატორების მიწოდების ბაზარზე. აღნიშნული ქმედებები ზღუდავდა კონკურენციას და შესაძლოა იწვევდა ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების წარმოების ხარჯების ზრდას ევროპის მასშტაბით.

მოკვლევის ფარგლებში ასევე დადასტურდა, რომ კომპანიები, სექტორული ასოციაცია EUROBAT-ის ხელშეწყობით, შეთანხმდნენ ე.წ. „EUROBAT-ის პრემიუმების“ შემოღებასა და გამოქვეყნებაზე, ასევე მათ გამოყენებაზე ავტომწარმოებლებთან (OEM) ფასების

Company	Fine
Clarios	€0
FET	€6.11 million
• Of which jointly and severally with **Resonac**	€5.366 million
Elettra (FET's predecessor)	€15.594 million
• Of which jointly and severally with **Dofin**	€0
Rombat	€20.218 million
• Of which jointly and severally with **Metair**	€11.557 million
Exide	€30 million
EUROBAT	€125,000

მოლაპარაკებების პროცესში. აღნიშნული პრაქტიკა მიზნად ისახავდა ფასებზე დანამატის ხელოვნურად მაღალ დონეზე შენარჩუნებას, რაც კონკურენციის წესების პირდაპირ დარღვევას წარმოადგენდა.

კომპანია Clarios ჯარიმისგან გათავისუფლდა, ვინაიდან მან კარტელის არსებობის შესახებ ინფორმაცია ევროკომისიას leniency პროგრამის ფარგლებში მიაწოდა. პარალელურად, კომისიამ საქმის წარმოება შეწყვიტა აკუმულატორების მწარმოებელი Banner-ისა და მომსახურების მიმწოდებელი Kellen-ის მიმართ.

ევროკომისიამ დაასკვნა, რომ აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს ერთიან და უწყვეტ დარღვევას. ევროკომისიის განცხადებით, ფასების ფიქსირებისა და კარტელური შეთანხმებების მიმართ მოქმედებს ნულოვანი ტოლერანტობა, ხოლო სექტორულ ასოციაციებს ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, არ გამოიყენონ თავიანთი პოზიცია წევრებს შორის ანტიკონკურენტული კოორდინაციის ხელშეწყობისთვის.

[წყარო:]

1

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ Rainair-ს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის ჯარიმა დააკისრა

იტალიის კონკურენციის უწყებამ Ryanair DAC-სა და მის მშობელ კომპანიას Ryanair Holdings plc-ს, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის **255,761,692** ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

უწყების შეფასებით, Ryanair ფლობს დომინანტურ პოზიციას იტალიიდან შემოსული და გასული დაგეგმილი ავიამგზავრობის ბაზარზე, რომელიც მოიცავს როგორც შიდა, ისე ევროპულ მიმართულებებს და წარმოადგენს შესყიდვის აუცილებელ ბაზარს ონლაინ (OTA) და ტრადიციული ტურისტული სააგენტოებისთვის. კომპანიის დომინანტური მდგომარეობა განპირობებულია მაღალი საბაზრო წილით (დაახლოებით 38-40%), ასევე სხვა სტრუქტურული ფაქტორებით, რომლებიც Ryanair-ს მნიშვნელოვან საბაზრო ძალას ანიჭებს.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ Ryanair-მა განახორციელა ერთიანი სტრატეგია, რომელიც ზღუდავდა ტურისტული სააგენტოების შესაძლებლობას ryanair.com-ის მეშვეობით შეესყიდათ ფრენები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი სხვა ავიაკომპანიების ფრენებთან ან დამატებით ტურისტულ და სადაზღვევო სერვისებთან კომბინაციაში იყო შეთავაზებული. აღნიშნული პრაქტიკა ეფუძნებოდა ტექნიკური და ეკონომიკური ბარიერების შექმნას, რაც სააგენტოების საქმიანობას მნიშვნელოვნად ართულებდა.

მოკვლევამ აჩვენა, რომ 2022 წლის ბოლოს Ryanair-მა დაიწყო სააგენტოების შეზღუდვის მექანიზმების შემუშავება, ხოლო 2023 წლის აპრილიდან მათი ეტაპობრივი განხორციელება.

2025 წლის აპრილში Ryanair-მა OTA-თვის გახსნა white-label iFrame API-ების ინტეგრაციის შესაძლებლობით, რაც კონკურენციის აღდგენისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა.

უწყებამ დაასკვნა, რომ აღნიშნული ტექნიკური გადაწყვეტის ამოქმედებამდე Ryanair-ის ქმედებებმა რეალურად შეზღუდა ტურისტული სააგენტოების გაყიდვები, შეასუსტა კონკურენცია და უარყოფითად იმოქმედა მომხმარებლებისთვის ტურისტული მომსახურების ხარისხსა და მრავალფეროვნებაზე.

წყარო:

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ Citizen-ისა და Swatch-ის წინააღმდეგ შესაძლო ფასების კოორდინაციის გამო მოკვლევა დაიწყო

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა Citizen Watch Italy S.p.A.-სა და მის იაპონურ მშობელ კომპანიაზე Citizen Watch Co. Ltd.-ზე, ასევე The Swatch Group (Italia) S.p.A.-სა და მის შვეიცარულ მშობელ კომპანიაზე The Swatch Group Ltd.-ზე. მოკვლევა ეხება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე მუხლის შესაძლო დარღვევას, რაც უკავშირდება ჯგუფების მიერ ავტორიზებული დისტრიბუტორებისთვის ონლაინ სივრცეში გამოსაჩენი საცალო ფასების შესაძლო ფიქსაციას.

Citizen, რომელიც საათების რამდენიმე ცნობილი ბრენდის წამყვანი მწარმოებელი და დისტრიბუტორია (მათ შორის Citizen, Bulova, Vagary, Frédérique Constant და Alpina), შესაძლოა სელექტიური დისტრიბუციის ქსელის წევრებს ავალდებულებდეს დაიცვან კომპანიის მიერ განსაზღვრული საცალო ფასები. უწყების წინასწარი შეფასებით, კომპანია ასევე აკონტროლებს დისტრიბუტორების ფასობრივ პოლიტიკას და მიმართავს საპასუხო კომერციულ ზომებს იმ პარტნიორების წინააღმდეგ, რომლებიც ფასდაკლებებს სთავაზობენ მომხმარებლებს ან გადაუხვევენ მითითებულ ფასებს.

ანალოგიურად, Swatch Group, საათების კიდევ ერთი მსხვილი მწარმოებელი და მარკეტერი (მათ შორის Swatch, Tissot, Mido და Hamilton) სავარაუდოდ აწესებს საცალო ფასებს, აკონტროლებს თავის სელექტიურ დისტრიბუციის ქსელს და იყენებს საპასუხო ზომებს იმ დისტრიბუტორების მიმართ, რომლებიც კომპანიის ფასობრივ პოლიტიკას არ იცავენ.

უწყების შეფასებით, ორივე ჯგუფის მიერ შესაძლო საცალო ფასების ფიქსაციის პრაქტიკა შეიძლება ჩაითვალოს კონკურენციის შეზღუდვად.

მოკვლევისფარგლებში, 2025 წლის 3 დეკემბერს ჩატარდა შემოწმებები Citizen Watch Italy S.p.A.-სა და The Swatch Group (Italia) S.p.A.-ს ოფისებში. ინსპექციები განხორციელდა იტალიის კონკურენციის უწყების წარმომადგენლების მიერ, ფინანსური პოლიციის სპეციალური ანტიმონოპოლური დანაყოფის (Guardia di Finanza) მხარდაჭერით.

წყარო:

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაადგინა, რომ Apple-ის App Tracking Transparency (ATT) პოლიტიკა ზღუდავს კონკურენციას

იტალიის კონკურენციის უწყებამ Apple Inc.-ს, Apple Distribution International Ltd-სა და Apple Italia S.r.l.-ს (შემდგომში Apple) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის **98,635,416.67** ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა. მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ Apple-მა დაარღვია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 102-ე მუხლი iOS მომხმარებლებისთვის აპლიკაციების ონლაინ დისტრიბუციის პლატფორმების მიწოდების ბაზარზე, სადაც კომპანია App Store-ის მეშვეობით დომინანტურ პოზიციას ფლობს.

უწყებამ ჩაატარა მასშტაბური და კომპლექსური მოკვლევა ევროკომისიასთან, სხვა ეროვნულ კონკურენციის ორგანოებთან და იტალიის მონაცემთა დაცვის უწყებასთან კოორდინაციით. მოკვლევის ფარგლებში დადასტურდა, რომ Apple-ის App Tracking Transparency (ATT) პოლიტიკა კონკურენციის სამართლის თვალსაზრისით შეზღუდვით ხასიათდება.

კერძოდ, ATT პოლიტიკის შესაბამისად, iOS მოწყობილობებზე განთავსებული აპლიკაციების მესამე მხარის შემქმნელები ვალდებულნი არიან მიიღონ მომხმარებლის სპეციალური თანხმობა მონაცემების შეგროვებისა და ერთმანეთთან დაკავშირებისთვის სარეკლამო მიზნებით Apple-ის ATT შეტყობინების მეშვეობით. ამასთან, აღნიშნული შეტყობინება სრულად არ აკმაყოფილებს მოქმედი კონფიდენციალურობის სამართლებრივ მოთხოვნებს, რის შედეგადაც აპლიკაციების შემქმნელები იძულებულნი არიან მომხმარებლისგან იგივე მიზნებისთვის დამატებით, მეორედ მოითხოვონ თანხმობა.

უწყებამ დაადგინა, რომ ATT პოლიტიკის პირობები Apple-მა ცალმხრივად დააწესა და ისინი ზიანს აყენებს კომპანიის კომერციული პარტნიორების ინტერესებს. ასევე დადასტურდა, რომ აღნიშნული პირობები არაპროპორციულია კომპანიის მიერ დეკლარირებულ მონაცემთა დაცვის მიზნებთან შედარებით. ვინაიდან მომხმარებელთა მონაცემები წარმოადგენს პერსონალიზებული ონლაინ რეკლამის ძირითად რესურსს, ATT პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილი ორჯერადი თანხმობის მოთხოვნა მნიშვნელოვნად ზღუდავს მონაცემების შეგროვებას, დაკავშირებასა და გამოყენებას.

აღნიშნული პრაქტიკა უარყოფითად აისახება როგორც აპლიკაციების შემქმნელებზე, რომელთა ბიზნესმოდელი სარეკლამო სივრცის მონეტიზაციაზეა დაფუძნებული, ასევე რეკლამის დამკვეთებსა და სარეკლამო ინტერმედიაციულ პლატფორმებზე.

უწყების შეფასებით, ორჯერადი თანხმობის მოთხოვნა ATT პოლიტიკას არაპროპორციულსა და არაკონკურენტუნარიანს ხდის, ვინაიდან Apple-ს შეეძლო მომხმარებლებისთვის იგივე დონის კონფიდენციალურობის დაცვა ერთიანი, ერთსაფეხურიანი თანხმობის მექანიზმით, აპლიკაციების შემქმნელებისთვის დამატებითი ბარიერების შექმნის გარეშე.

[წყარო:]

1

უნგრეთის კონკურენციის უწყება

უნგრეთის კონკურენციის უწყებამ ნაგვის შემგროვებელი ავტომობილების კარტელი გამოავლინა

უნგრეთის კონკურენციის უწყებამ (GVH) დაასრულა მასშტაბური კარტელური საქმის განხილვა და ექვს კომპანიას ჯამში **1.5 მილიარდ ფორინტზე მეტი** (დაახლოებით **3.9 მილიონი ევრო**) ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიებმა 2014–2015 წლებში უკანონოდ შეათანხმეს ქმედებები გარემოსა და ენერგეტიკის ოპერაციული პროგრამის (KEOP) ფარგლებში გამოცხადებულ საჯარო შესყიდვებში, რომლებიც ნაგვის შემგროვებელი და საკანალიზაციო გამწმენდი ავტომობილების შეძენას ეხებოდა. კერძოდ, ისინი წინასწარ ანაწილებდნენ ტენდერებს, აფიქსირებდნენ ფასებს და ერთმანეთს ე.წ. დამხმარე წინადადებებით უჭერდნენ მხარს, რის შედეგადაც კონკურენცია ფაქტობრივად გამოირიცხა.

კარტელში მონაწილეობდნენ **Volvo Hungária Kereskedelmi Kft.**, **Seres Kft.**, **MUT Kft.**, **Interteher Kft.**, **He Hans Eibinger Kft.**, **Eurotrade Kft.** და **GIF Modul Kft.** ყველაზე მაღალი ჯარიმა - **972.9 მილიონი ფორინტი** დაეკისრა **Volvo Hungária-ს**, რომელსაც დამატებით **270 მილიონი ფორინტის** ოდენობის რეკორდული საპროცედურო ჯარიმაც დაეკისრა საგამოძიებო პროცესში ხელის შეშლისთვის.

კომპანიების უმეტესობამ დარღვევა აღიარა და ითანამშრომლა GVH-სთან, რაც გათვალისწინებულ იქნა სანქციების განსაზღვრისას. MUT Kft.-მა სრულად ითანამშრომლა უწყებასთან და დაზარალებულ დამკვეთებს **116 მილიონი ფორინტის** ოდენობის კომპენსაცია გადაუხადა, რის გამოც მის მიმართ დამატებითი ჯარიმა არ დაკისრებულა.

GVH ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული კარტელები კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დარღვევას წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს სახელმწიფო ინტერესებს და ზრდის ბიუჯეტურ ხარჯებს. შესაბამისად, უწყება მსგავს საქმეებზე მკაცრ რეაგირებას და სისხლისსამართლებრივი დევნის ინიცირებას პრიორიტეტულად განიხილავს.

[წყარო:]

1

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

იპოთეკური გადახდების შეჩერება - უწყების პრეზიდენტმა ბანკებს თითქმის 119 მილიონი ზლოტის ოდენობის ჯარიმა დააკისრა

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყების (UOKiK) პრეზიდენტმა ბანკებს – Bank Polska Kasa Opieki SA-სა და Pekao Bank Hipoteczny SA-ს თითქმის 119 მილიონი პოლონური ზლოტის ოდენობის ჯარიმა დააკისრა. დადგინდა, რომ ბანკებმა იპოთეკური გადახდების შეჩერების (mortgage payment holidays) მექანიზმი კანონთან შეუსაბამოდ გამოიყენეს.

მოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბანკებმა შეამცირეს გადახდების შეჩერების პერიოდი და ამავდროულად არაპროპორციულად გაახანგრძლივეს სესხის საერთო ვადა, რის შედეგადაც მომხმარებლები სესხის საერთო ღირებულების ზრდის რისკის წინაშე აღმოჩნდნენ. დარღვევების გამო, ბანკებს დაევალათ დაზარალებული მომხმარებლების ინფორმირება.

კანონის შესაბამისად, 2022 წლის აგვისტოდან 2024 წლის ბოლომდე მომხმარებლებს შეეძლოთ მაქსიმუმ 12 იპოთეკური შენატანის

დროებით შეჩერება. აღნიშნული მექანიზმის მიზანი იყო მსესხებელთა მხარდაჭერა მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში.

UOKiK-ის მიერ ჩატარებული მონიტორინგისა და მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ორივე ბანკი განაცხადებს ერთნაირი, კანონთან შეუსაბამო მოდელით ამუშავებდა. კერძოდ, თუ მომხმარებელი გადახდების შეჩერებას კვარტლის ბოლო თვეში ითხოვდა, შეჩერება არ ვრცელდებოდა მთელ თვეზე, არამედ მხოლოდ განცხადების წარდგენის დღიდან თვის ბოლომდე. მაგალითად, 2023 წლის 15 მარტს წარდგენილი განაცხადის შემთხვევაში, გადახდები შეჩერდა მხოლოდ 15-31 მარტის პერიოდში, ნაცვლად მთელი თვისა.

ამასთანავე, შემცირებული შეჩერების მიუხედავად, ბანკები ავტომატურად ახანგრძლივებდნენ სესხის ვადას სრული ერთი თვით, რაც მომხმარებლებისთვის დამატებით ფინანსურ ტვირთს ქმნიდა.

UOKiK-ის პრეზიდენტის განცხადებით, აღნიშნული პრაქტიკა ეწინააღმდეგებოდა იპოთეკური გადახდების შეჩერების მიზანს, რომელიც მსესხებელთა რეალურ მხარდაჭერას ისახავდა მიზნად მაღალი ინფლაციის პირობებში.

დარღვევებს სისტემური ხასიათი ჰქონდა და შეეხო იმ მომხმარებლებს, რომლებმაც განაცხადი კვარტლის ბოლო თვეში ან რამდენიმე თვეზე, მათ შორის კვარტლის დამასრულებელ თვეზე წარადგინეს. ბანკებმა აღნიშნული პრაქტიკა 2023-2024 წლებში შეწყვიტეს.

დაწესებული ჯარიმების ოდენობაა:

- ***Bank Polska Kasa Opieki SA*** **– 117 801 000 ზლოტი;**
- ***Pekao Bank Hipoteczny SA*** **– 1 183 304 ზლოტი.**

UOKiK-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებები ამ ეტაპზე საბოლოო არ არის და ბანკებს მათი გასაჩივრების უფლება აქვთ.

წყარო:

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

როდესაც აქცია მთავარს მალავს - ბიდრონიკას თითქმის 105 მილიონი ზლოტის ჯარიმა

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყების (UOKiK) პრეზიდენტმა Jeronimo Martins Polska-ს, Biedronka-ს ქსელს, თითქმის 105 მილიონი პოლონური ზლოტის ჯარიმა დააკისრა. მოკვლევით დადგინდა, რომ კომპანიამ მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანა ერთდღიანი სარეკლამო აქციების – „სპეციალური ოთხშაბათი“ და „ვალენტინობის ოთხშაბათი“ დროს.

კამპანიის სლოგანი იყო „100%-იანი ქეშბექი ვაუჩერის სახით“, თუმცა რეალურად ვაუჩერის გამოყენება შეზღუდვებთან იყო დაკავშირებული. მომხმარებლები ამ პირობებს მხოლოდ შეძენის შემდეგ ეცნობოდნენ, რაც არღვევდა მათ უფლებებს.

მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ვაუჩერის გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ კონკრეტული პროდუქტის კატეგორიაზე, მოქმედებდა მინიმალური თანხის შეძენის მოთხოვნა, შეზღუდული იყო ერთ მომხმარებელზე ერთი ვაუჩერის გამოყენება, ხოლო ზოგი პროდუქტი საერთოდ არ შეესაბამებოდა იმ პროდუქტს, რომლის შეძენაზეც ვაუჩერი გაიცა. მაგალითად, ხორცის შეძენა უზრუნველყოფდა ვაუჩერის გამოყენებას სასმელების შესაძენად, შოკოლადი – კოსმეტიკური პროდუქტებისთვის და ა.შ.

UOKiK-ის შეფასებით, კომპანიამ სარეკლამო გზავნილებში მიზანმიმართულად მალავდა აქციის ძირითად პირობებს, რაც მომხმარებლებს შეცდომაში შეყავდა და მნიშვნელოვნად ზღუდავდა რეალურ არჩევანს.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ Jeronimo Martins Polska-მ დაარღვია მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესები. კომპანიას დაეკისრა ჯარიმა – 104 722 016 ზლოტი. გადაწყვეტილება არ არის საბოლოო, კომპანიას აქვს უფლება სასამართლოში გასაჩივრების.

წყარო:

ბელგიის კონკურენციის უწყება

ბელგიის კონკურენციის უწყება დომინირებული მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენების საქმეზე მოკვლევას იწყებს

ბელგიის კონკურენციის უწყებამ (BCA) ფარმაცევტული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების სექტორში დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე ფორმალური მოკვლევა დაიწყო. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მიღებული საჩივრისა და ჩატარებული წინასწარი მოკვლევის საფუძველზე, რომლის შედეგად გამოვლინდა მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის სერიოზული ნიშნები.

საქმე ეხება კომპანია **IQVIA**-ს სახელშეკრულებო პრაქტიკებს. კომპანია გლობალურად, მათ შორის ბელგიაში, უზრუნველყოფს ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებისა და მონაცემთა ანალიტიკური მომსახურების მიწოდებას ფარმაცევტული, ბიოტექნოლოგიური და სამედიცინო მოწყობილობების სფეროში მოქმედი კომპანიებისთვის. ბელგიაში აღნიშნული ბაზარი მაღალი კონცრაციით ხასიათდება.

საჩივრის მასალებისა და სექტორის მონაწილეებისთვის გაგზავნილი ინფორმაციის მოთხოვნების ანალიზის შედეგად, ბელგიის კონკურენციის უწყებამ დაასკვნა, რომ არსებობს ევროკავშირის კონკურენციის წესების შესაძლო დარღვევის სერიოზული საფუძვლები. აღნიშნულის საფუძველზე, ეკონომიკური სამართლის კოდექსის IV.39 მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოფიციალური მოკვლევის დაწყების შესახებ.

აღნიშნული პრაქტიკები უკავშირდება ფარმაცევტულ და ჯანდაცვის სექტორს, რომელიც ბელგიის კონკურენციის უწყებისთვის უკვე რამდენიმე წელია ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

მოკვლევის დაწყება არ ნიშნავს საქმის საბოლოო შედეგის წინასწარ განსაზღვრას. საქმე ამ ეტაპზე საწყის სტადიაზეა და შესაბამისი კომპანია სრულად იქნება ჩართული წარმოების პროცესში.

წყარო:

კონკურენციისა და ბაზრების უწყება

CMA: საწვავის მარჟები კვლავ მაღალია და ეს ოპერაციული ხარჯებით არ აიხსნება

გაერთიანებული სამეფოს კონკურენციისა და ბაზრების უწყებამ (Competition and Markets Authority – CMA) გამოაქვეყნა საწვავის ბაზრის შესახებ უახლესი ანგარიში (https://assets.publishing.service.gov.uk/media/694567151a2e540ccd8a540f/Road_fuel_annual_report__1_.pdf), რომელშიც გაანალიზებულია კონკურენციის მდგომარეობა და საწვავის ფასებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები.

CMA-ის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის განმავლობაში საწვავის საცალო ფასები შემცირდა, საწვავის მარჟები კვლავ ისტორიულად მაღალ დონეზე რჩება. ანგარიშის მიხედვით, საწვავის გამყიდველების ოპერაციული ხარჯები არ ახდენს გავლენას მათ მომგებიანობაზე და ვერ ხსნის მარჟების შენარჩუნებას ასეთ დონეზე, რაც მიუთითებს ბაზარზე კონკურენციის სისუსტეზე.

ანგარიში მომზადებულია CMA-ის ახალი უფლებამოსილების ფარგლებში და ეფუძნება სააგენტოს საწვავის ბაზრის წინა მოკვლევას. დოკუმენტი ასახავს ბაზარზე არსებულ ვითარებას 2025 წლის ოქტომბრამდე.

CMA-ის ბაზრების უფროსი დირექტორის, დენ ტერნბულის განცხადებით, ეფექტიანი კონკურენციის პირობებში მძღოლები საწვავის სადგურებზე უფრო დაბალ ფასებს იხილავდნენ, რაც ამჟამად სრულად არ ხორციელდება.

საწვავის ფასების დინამიკა

2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ოქტომბრამდე პერიოდში ბენზინისა და დიზელის საშუალო ფასები შემცირდა და შესაბამისად შეადგინა 135 და 142 ppl ლიტრზე, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ორივე შემთხვევაში 8ppl ნაკლებია.

„Fuel Finder“ სისტემა

ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „Fuel Finder“ სისტემას, რომლის ამოქმედება მომავალ წელს იგეგმება. აღნიშნული მექანიზმი მძღოლებს საშუალებას მისცემს რეალურ დროში შეადარონ საწვავის ფასები, რაც კონკურენციის გაძლიერებას და მომხმარებლებისთვის უკეთეს შედეგებს შეუწყობს ხელს.

CMA ასევე განმარტავს, რომ ახალი რეგულაციების აღსრულებისას, მინიმუმ 2026 წლის მაისამდე, მისი ძირითადი აქცენტი ბიზნესების მხარდაჭერასა და შესაბამისობის უზრუნველყოფაზე იქნება ორიენტირებული.

წყარო:

1

სინგაპურის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია

შეცდომაში შემყვანი პრაქტიკის გამო, კომისია ზომებს იღებს კომპანიების წინააღმდეგ

სინგაპურის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისიამ (CCS) დაადგინა, რომ Courts და PRISM+ თავიანთ ვებგვერდებზე იყენებდნენ მომხმარებელთა შეცდომაში შემყვან მექანიზმებს.

Courts ავტომატურად ამატებდა პროდუქტებს მომხმარებლის კალათაში მათი თანხმობის გარეშე, რაც უსამართლო სავაჭრო პრაქტიკას წარმოადგენს. კომპანიამ CCS-ის ჩარევის შემდეგ შეწყვიტა აღნიშნული პრაქტიკა და ვალდებულება აიღო დაზარალებული მომხმარებლებისთვის თანხის დაბრუნების შესახებ.

PRISM+ ყალბი გადაუდებლობის ელემენტებს იყენებდა, არარეალური ათვლის ტაიმერები, შეცდომაში შემყვანი მარაგის მაჩვენებლები და გადაჭარბებული ფასდაკლებები. PRISM+-მა აღნიშნული ხარვეზები გამოსწია და CCS-ს დაუდასტურა, რომ მომავალში უსამართლო პრაქტიკას აღარ გამოიყენებს.

CCS ხაზს უსვამს, რომ კანონმდებლობა კრძალავს მომხმარებლისთვის შეუთანხმებელი პროდუქციისთვის თანხის ჩამოჭრას და მცდარი ინფორმაციის გამოყენებას შეძენაზე ზეწოლის მიზნით. უწყება აგრძელებს ციფრულ სივრცეში სამართლიანი, გამჭვირვალე და მომხმარებელთა დაცვის უზრუნველყოფის პოლიტიკას.

[წყარო:]

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა, იტალიის, უნგრეთის, ბელგიის, პოლონეთის, ბრიტანეთის და სინგაპურის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები, ასევე გადამოწმდა ევროკომისიის ვებგვერდი.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"